საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ინასარიძე გიორგი ზაქარიას ძე

ინასარიძე გიორგი ზაქარიას ძე [25. X(7.XI). 1907, სოფ. ახალქალაქი, ახლანდ. კასპის მუნიციპალიტეტი, – 11. VI. 1992, თბილისი], ფთიზიატრ-ურროლოგი. მედ. მეცნ. დოქტორი (1942), პროფესორი (1947), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1966).

1930 დაამთავრა თსსი. II მსოფლიო ომის დროს (1939–45) მოქმედ არმიაში იყო საველე მოძრავი ჰოსპიტლისა და 46-ე არმიის მთ. ქირურგი.

1949 მისი ინიციატივით თბილ. ტუბერკულოზის სამეცნ.-კვლ. ინ-ტში დაარსდა ურროლოგიის გან-ყბა, რ-საც 1992-მდე თვითონვე განაგებდა. 1955–59 იყო ამ ინ-ტის დირექტორი.

ი-მ ანატომიურად, ექსპერიმენტულად და კლინიკურად შეისწავლა შარდ-სასქესო ორგანოების ვენური სისტემა, მამაკაცის სასქესო ორგანოების ტუბერკულოზის პათო-გენეზისა და მკურნალობის საკითხები, საშარდე ორგანოების კანდიდამიკოზი, დაამუშავა სანაღვლე გზების ოპერაციის ორიგინ. მეთოდი და სხვ.

მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები, მ. შ. საბრძოლო ორდენები.

თხზ.: Библиографический указатель отечественной урологии и смежных областей за 100 лет (1855–1955), т. 1–5, Тб., 1959–72.